სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) 2021 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის წლიური ანგარიში

მოკლე შეჯამება

სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) 2021-2030 მთავარი მიზანია სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. მიზნის მისაღწევად განისაზღვრა 7 ამოცანა. სტრატეგიის შექმნის წინაპირობა ასახულია საქართველოს კანონმდებლობაში, ხოლო შინაარსი განპირობებულია იმ საერთაშორისო ვალდებულებებითა და პრინციპებით, რომელთაც იზიარებს საქართველო. იგი არის პირველი ოფიციალური პოლიტიკის დოკუმენტი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, რომელიც დაამტკიცა ქვეყნის მთავრობამ და რომელშიც კომპლექსურად არის დაგეგმილი სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკა 2021-2030 წლებში. დოკუმენტში ასახულია სახელმწიფოს ხედვა და პოლიტიკა ქვეყნის ენობრივი ინტეგრაციისა და მრავალფეროვნების კუთხით.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი არის სტრატეგიის მაკოორდინებელი ორგანო, რაც ნიშნავს იმას, რომ დოკუმენტი შემუშავდა და ხორციელდება სახელმწიფო ენის დეპარტამენტის უშუალო ინიციატივითა და მონაწილეობით.

სტრატეგია და 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა მთავრობის მიერ დამტკიცდა 2021 წლის 27 დეკემბერს. 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა 2021 წლისათვის მოიცავდა 6 აქტივობას. აქტივობათა სიმცირე გამოწვეული იყო პანდემიური სიტუაციის გათვალისწინებით სტრატეგიის შედგენისა და დამტკიცების პროცედურის ვადების ცვლილებით, რაც 2021 წლისათვის აქტივობათა შესრულებას რისკის ქვეშ აყენებდა. შესაბამისად, პასუხისმგებელმა უწყებებმა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში აქტივობათა უმეტესობა 2022 წლისათვის ჩამოაყალიბეს.

დაგეგმილი 6 აქტივობიდან ყველა 100%-ით შესრულებულია. გარდა ამისა, წარმატებით შესრულდა 2022 წლისათვის დაგეგმილი ზოგი აქტივობაც.

ამავე დროს დაწყებულია მუშაობა იმ აქტივობების შესრულებაზე, რომლებიც რიგ ამოცანათა საბაზისო მაჩვენებელი დონის განსაზღვრისაკენ არის მიმართული.

გარდა ამისა, შესრულებულია გარკვეული სამუშაოები გავლენის ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებლისათვის სახელმწიფო ენის ფუნქციონირების დონის შეფასების ინსტრუმენტის შესაქმნელად.

2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში 2021 წელს განხორციელებული აქტივობები დადებითად აისახება სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის ზოგად პროგრესზე, აქტივობები შეიძლება დახასიათდეს, როგორც მოსამზადებელი, საფუძვლის მიმცემი ღონისძიებების ნაკრები სხვა, მომავალ წლებში დაგეგმილი აქტივობებისათვის და ამოცანათა შესრულების პროგრესის გამოკვეთის მიზნით. მაგალითად, 2021 წელს გამართული ფორუმი ენობრივი ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით გამოყენებული იქნება 2022 წელს დაგეგმილი ენობრივი ტექნოლოგიების განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის შექმნისათვის.

სახელმწიფო ენის სტრატეგიის მთავარ გამოწვევებად რჩება: პანდემიით გამოწვეული რისკები და დამატებითი ფინანსების მოძიება. რისკების გათვალისწინებით გადაიხედა 2022 წლის სამოქმედო გეგმა და კორექტირებული ვარიანტი წარედგინება საქართველოს მთავრობას.

სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) ეფექტიანად განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია მაკოორდინებელ ორგანოს, სახელმწიფო ენის დეპარტამენტისა და სხვა პასუხისმგებელ უწყებათა ურთიერთთანამშრომლობა.

შესავალი

სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) მიზანია, უზრუნველყოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქართულის, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქართულთან ერთად აფხაზურის კონსტიტუციური სტატუსის განმტკიცება, სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში; მისი, როგორც საქართველოს მოსახლეობის გამაერთიანებლის როლის გაზრდა, საქართველოში გავრცელებული ენების დაცვა და განვითარება. სტრატეგიით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება ემსახურება: ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ერთობის მთავარი ფაქტორის განვითარებას, ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების ცოცხალი კულტურის დაცვას, კვლევასა და შენარჩუნებას; საქართველოს უმცირესობათა ენების დაცვას, მათი ინტეგრაციისა და ქვეყანაში სამოქალაქო თანხმობის მისაღწევად სახელმწიფო ენის სრულფასოვანი დაუფლებისათვის პირობების შექმნას. დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს

მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის 629-ე დადგენილების – „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა (სტრატეგია) 2021-2030 ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას, ასევე, საქართველოს იმ საერთაშორისო ვალდებულებებს, რომლებიც მიემართება ენობრივ საკითხებს, განათლების თანასწორ პირობებსა და სხვა საზოგადოებრივი სიკეთის თანასწორ გამოყენებას, სამოქალაქო ინტეგრაციასა და ადამიანის უფლებებს.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ენ(ებ)ის სტატუსი დაცულია საქართველოს კონსტიტუციით, სახელმწიფო ენის შესახებ ორგანული კანონით, სტრატეგია პირველი ოფიციალური პოლიტიკის დოკუმენტია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, რომელშიც კომპლექსურად არის დაგეგმილი სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკა 2021-2030 წლებში.

სახელმწიფოს ხედვა და პოლიტიკა ქვეყნის ენობრივი სიტუაციის, ინტეგრაციისა და მრავალფეროვნების კუთხით ასახულია სტრატეგიაში, რომელიც შემუშავდა და ხორციელდება სახელმწიფო ენის დეპარტამენტის უშუალო ინიციატივითა და მონაწილეობით.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი არის სტრატეგიის მაკოორდინებელი ორგანო. დეპარტამენტის ფუნქციონირება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია. ასევე განსაზღვრულია, რომ დეპარტამენტის ინიციატივითა და პასუხისმგებლობით იქმნება საქართველოს ენობრივი პოლიტიკის წარმმართველი დოკუმენტი "სახელმწიფო ენის პროგრამა". დეპარტამენტის საქმიანობა გადაჯაჭვულია პოლიტიკის დოკუმენტის მიზანსა და ამოცანების განხორციელებასთან, კერძოდ, ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა და ტერმინოლოგიური სტანდარტების წარდგენა მთავრობისათვის, მათი დანერგვა, საჯარო და კერძო სფეროში სალიტერატურო ენის ნორმების დაცვის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება, სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია და სხვა.

როგორც სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) მაკოორდინებელი ორგანო, სახლმწიფო ენის დეპარტამენტი ყოველწლიურად ვალდებულია მოამზადოს კონსოლიდირებული სტატუსანგარიშები და წლიური ანგარიშები. საანგარიშო პერიოდი სტრატეგიის ფარგლებში ამგვარად განისაზღვრა:

რადგანაც საქართველოს მთავრობის მიერ სტრატეგია დამტკიცდა დეკემბრის მიწურულს (2021 წლის 27 დეკემბერს), მაშინ როცა 2021 წლის საანგარიშო პერიოდი, ფაქტობრივად, ამოიწურა, სახელმძღვანელო წესების მიხედვით (დანართი 7) დაიწყო პასუხისმგებელ უწყებათაგან სტატუსანგარიშების მიღება და გაერთიანება. წინამდებარე ანგარიში ეფუძნება გაერთიანებულ სტატუსანგარიშს, რომელიც შედგენილია დადგენილი სტანდარტის მიხედვით.

ზოგადი პროგრესი

2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის 2021 წლის შესრულების ანგარიში მომზადებულია სტრატეგიის განმახორციელებელი უწყებების მიერ მოწოდებული სტატუსანგარიშების საფუძველზე, რომლებიც შეჯამდა კონსოლდირებულ სტატუსანგარიშში (იხ. დანართი 1).

2021-2022 წლების სამოქმედო გეგმაში სულ შესულია 84 აქტივობა, რომლებიც განაწილებულია 7 ამოცანის მიხედვით (იხ. დიაგრამა #1):



დიაგრამა #1. 2021-2022 წლების აქტივობათა რაოდენობა ამოცანების მიხედვით.

2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა 2021 წლისათვის მოიცავდა 6 აქტივობას. ხოლო დანარჩენის შესრულება 2022 წლისათვის არის დაგეგმილი. აქტივობათა სიმცირე გამოწვეული იყო პანდემიური სიტუაციის გათვალისწინებით სტრატეგიის შედგენისა და დამტკიცების პროცედურის ვადების ცვლილებით, რაც 2021 წლისათვის

აქტივობათა შესრულებას რისკის ქვეშ აყენებდა. შესაბამისად, პასუხისმგებელმა უწყებებმა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში აქტივობათა უმეტესობა 2022 წლისათვის ჩამოაყალიბეს. დეტალური ინფორმაცია იხილეთ დიაგრამა #2-ში.



დიაგრამა #2. ამოცანათა განაწილება პროგრესის სტატუსის მიხედვით.

დიაგრამა #2 გვიჩვენებს არა მხოლოდ 2021 წლის აქტივობათა სტატუსს განხორციელების თვალსაზრისით, არამედ 2022 წლისათვის დაგეგმილ აქტივობათა პროგრესსაც. 2022 წლის 4 აქტივობა უკვე განხორციელდა წინსწრებით, ასევე ნაწილი აქტივობებისა მეტწილად ან ნაწილობრივ განხორციელებულია. თუმცა აქტივობათა უმრავლესობის (65%) განხორციელება არ დაწყებულა. ამათგან ნაწილი შესრულდება დაგეგმილი ვადებით, ხოლო ნაწილი იმ რისკების გათვალისწინებით, რომ შესრულების ვადა ადრე უწევს და არ არის გადაწყვეტილი მნიშვნელოვანი, ფუნდამენტური ხასიათის ნაბიჯები, აქტივობათა შესრულების ვადების ცვლილება ანდაც აქტივობათა შინაარსობრივი კორექტირება იგეგმება.

პირველი ამოცანისათვის <u>(ქართული და აფხაზური ენების ფუნქციონირებისა და პოპულარიზაციის მხარდაჭერა)</u> 2021 წელს ორი აქტივობა შესრულდა: 1. შეიქმნა სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ხელშესაწყობად მოხალისეთა პროგრამა, რომელიც სამი მიმართულებით გულისხმობს ღონისძიებების დაგეგმვასა და გააქტიურებას: ა) სახელმწიფო ენების პოპულარიზაცია, ბ) ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დანერგვის მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, გ) ტექნოლოგიური ინიციატივები; 2. ამავე ამოცანის ფარგლებში საჯარო სამსახურის

ბიუროს პასუხისმგებლობით ჩატარდა ფორუმი, რომლის მიზანიც საჯარო მოხელეთათვის სახელმწიფო ენის მნიშვნელობაზე საუბარი და ამ კუთხით სამიზნე ჯგუფის ცნობიერების ამაღლება იყო. 2021 წლის 1 ოქტომბერს საჯარო სამსახურის ბიურომ გამართა საჯარო მოხელეთა ფორუმი თემაზე: „სახელმწიფო ენა საჯარო სამსახურში“. ფორუმის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა სახელმწიფო ენის შენარჩუნებასა და განვითარებაში სახელმწიფო ენის დეპარტამენტის როლზე, სახელმწიფო ენაზე ზრუნვის საკითხში მოქალაქეობრივ ვალზე, ასევე, არასწორი ტერმინოლოგიის გამოყენების პრობლემასა და მათი მოგვარების გზებზე. შეხვედრას ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული 50-მდე მოხელე ესწრებოდა.

ორივე აქტივობის შესრულება პანდემიის პირობებში გამოწვევად რჩებოდა, თუმცა ფორუმი ჩატარდა პირისპირ ფორმატით, არა – დისტანციურად. ხოლო მოხალისეთა პროგრამის შესახებ ზოგადი ინფორმაცია და პროგრამაში ჩართვის პირობები გამოქვეყნდა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ვებგვერდზე. 2022 წელს იგეგმება საპილოტე გეგმის განხორციელება.

გარდა ამისა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ აქტივობა, რომელიც მიზნად ისახავდა საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ მოსწავლე-ახალგაზრდებში ქართული ენისა და ანბანის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და მის პოპულარიზაციას, ქართული ენის ცოდნის განმტკიცებას. 14 ნოემბერს ჩატარდა ონლაინტრენინგი ქართული ანბანის წარმოშობის თეორიებისა და ისტორიის თემაზე უცხოეთის ქართული დიასპორის მოსწავლეებისთვის. კონკურსი განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეცნიერების პოპულარიზაციის პროგრამის ფარგლებში თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბაზაზე.

მეცნიერების პოპულარიზაციის პროგრამის ფარგლებში, განხორციელდა ვიდეო პროექტი „საქართველოს მეცნიერთა მატიანე“, რომელიც ღვაწლმოსილ მეცნიერთა შესახებ ცნობიერების ამაღლებას ისახავდა მიზნად. პროექტის ფარგლებში, მომზადდა ვიდეო რგოლები მეცნიერთა, მათ შორის – ქართველოლოგ მეცნიერთა შესახებ.

მეოთხე ამოცანის <u>(ქართული ენის ფლობის დონის ამაღლების ხელშეწყობა ფორმალური და არაფორმალური განათლების ყველა დონეზე)</u> აქტივობების ძირითადი პასუხისმგებელი უწყება განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არის.

2021 წელს დაგეგმილი იყო 1 აქტივობა, რომლებიც შესრულდა წარმატებით. ასევე, 2022 წლისათვის დაგეგმილი სხვა აქტივობებიც წინსწრებით 2021 წელს 100%-ით განხორციელდა: კერძოდ, ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა „ირბახის“ ფარგლებში მომზადებული სასწავლო, დამხმარე და საინფორმაციო-პოპულარული ხასიათის მასალები იტვირთება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე www. geofl.ge (ქართული, როგორც უცხო ენა). ამ მასალებით სარგებლობენ, როგორც უცხოელი შემსწავლელები, ასევე, ქართული დიასპორის ახალგაზრდა თაობა. პროგრამის შემსრულებლებსა და შემსწავლელ-მასწავლებლებს შორის არის მუდმივი თანამშრომლობა. 2021 წელს ჩატარდა კვლევა (აქტივობა 1.4.1.7.), რომელიც ითვალისწინებდა შემსწავლელების მოთხოვნებისა და პროგრამის მასალების შესაბამისობის დადგენას. შემუშავდა დოკუმენტი, რომელიც გათვალისწინებული იქნება მომდევნო წლების სამუშაოების დაგეგმვისა და შესრულების დროს.

2021 წელს ,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შეიქმნა და დამტკიცდა ტრენინგმოდული: ,,გრამატიკის სწავლების მეთოდიკა ქართულის, როგორც მეორე ენის ათვისების პროცესში“; ტრენინგმოდული გაიარა 494-მა ადგილობრივმა მასწავლებელმა და 24-მა კონსულტანტ-მასწავლებელმა. ღონისძიებები დაგეგმილი იყო აქტივობა 1.4.1.10-სთან მიმართებით.

ხოლო აქტივობა 1.4.1.11-ის ფარგლებში, არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით, არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის პროგრამაში შემავალ 100 სკოლაში მიმდინარეობს საკლუბო, საწრეო და პროექტული მუშაობა.

აქტივობა 1.4.1.19 მიზნად ისახავდა ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტის დანერგვასა და განვითარებას. მიმდინარე პერიოდისათვის 600 ქართულენოვანი სკოლა და მათი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესში ხელმძღვანელობენ საგნის კურიკულუმით; შექმნილია ესგ-ს პრინციპებსა და ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ სტანდარტზე დაფუძნებული მეთოდოლოგიური რესურსი, რომლებიც საქართველოს ყველა სკოლისთვისაა შეთავაზებული. შექმნილი და გრიფირებულია საგნის "ქართული ენა და ლიტერატურა" IX კლასის ახალი სახელმძღვანელო. გამოცხადებულია გრიფირება აღნიშნული საგნის X კლასის სახელმძღვანელოებზე. შექმნილი და გრიფირებულია საგნის "ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის)" I-VIII კლასების სახელმძღვანელოები. გამოცხადებულია გრიფირება აღნიშნული საგნის IX-X კლასების

სახელმძღვანელოებზე (2021 წელს საგანს "ქართული, როგორც მეორე ენა" შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა "ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის)").

მეხუთე ამოცანა (აფხაზური ენის შემსწავლელთა რაოდენობა ფორმალური და არაფორმალური განათლების ყველა საფეხურზე) გულისხმობს აფხაზური ენის შემსწავლელთა რაოდენობის ზრდას. 2021 წელს დაგეგმილი იყო აფხაზური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების შექმნა, რაც სრულად განხორციელდა: დაწყებითი საფეხურის თითოეული კლასისათვის (I-IV კლასებისათვის) შეიქმნა აფხაზური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები.

მეექვსე ამოცანის (ქართველური ენებისა და აფხაზურის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ხელშეწყობა) შესრულებისათვის დაგეგმილი იყო ერთი აქტივობა, რომლის განხორციელებაზეც პასუხისმგებელი პირი იყო სახელმწიფო ენის დეპარტამენტი. სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივითა და პატრონაჟით, ენობრივი ტექნოლოგიების ევროპულ ცენტრ „ტილდესთან“ თანამშრომლობით, 2021 წლის 7-8 ოქტომბერს გამართა საერთაშორისო კონფერენცია „ენები ციფრულ ერაში: თანამედროვე ტექნოლოგიები მწირრესურსებიანი ენებისთვის“. კონფერენციის მიზანი იყო ქართულისა და სხვა მწირრესურსებიანი ენებისათვის ახალი ტექნოლოგიების შექმნის საკითხისა და ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით სხვა ქვეყნების გამოცდილების განხილვა; კონფერენციაზე ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ წარმოადგინა ის კვლევები, რომლებიც ქართული ენობრივი ტექნოლოგიების განვითარებისათვის არის მიმართული. კონფერენციას ესწრებოდნენ და პლენარულ და სექციურ მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ქართველ მეცნიერებთან ერთად სფეროს გამორჩეულმა სპეციალისტებმა დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, ლატვიიდან, რუსეთიდან და სხვ. სამეცნიერო ფორუმის მხარდამჭერები იყვნენ: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტი; შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი; ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტრო; ლატვიის სტანდარტი საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო. ამავე დროს, ნაწილობრივ განხორციელდა აქტივობა 1.6.1.5, რომელიც გულისხმობდა ვორკშოპების ორგანიზება ქართულენოვანი ინტერნეტის განვითარების საკითხებზე. 2022 წლის 21 თებერვალს – მშობლიური ენის დღესთან დაკავშირებით გაიმართა საერთაშორისო ვორკშოპი "ინტერნეტი და ენობრივი მრავალფეროვნება", რომლის ორგანიზატორებიც

იყვნენ: სახელმწიფო ენის დეპარტამენტი და მსოფლიო ინტერნეტის საზოგადოების საქართველოს წარმომადგენლობა.

ვორკშოპების, ფორუმების შედეგები გათვალისწინებული იქნება 2022 წელს შესაქმნელი ენობრივი ტექნოლოგიების პოლიტიკის დოკუმენტის სიტუაციის ანალიზისათვის და მიზნებისა და ამოცანების ფორმულირებისათვის. უწყებათაშორისი საბჭოს სხდომაზე გადაწყდა, რომ შეიქმნება ენობრივი ტექნოლოგიების განვითარების სამოქმედო გეგმა.

თითოეული შესრულებული აქტივობის შესახებ ინფორმაცია გამოცხადებულია პასუხისმგებელი უწყებების ვებგვერდებზე (https://enadep.gov.ge/ http://www.csb.gov.ge/ https://mes.gov.ge/).

ფინანსური რესურსების ხარჯვის თვალსაზრისით, აქტივობები განხორციელდა ადმინისტრაციული ხარჯით (9), ხოლო ერთი აქტივობა, რომელიც შეასრულა საჯარო სამსახურის ბიურომ, – UNDP-ის ფინანსური მხარდაჭერით.

ამოცანებთან მიმართებით ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია ამოცანების შედეგების საბაზისო ინდიკატორების დადგენა, რათა მომავალი შუალედური მაჩვენებლების მიმართება სამოქმედო გეგმების განხორციელების პროგრესთან იყოს რელევანტური. ამ მიზნით დაწყებულია მუშაობა ენის ფუნქციონირების დონის განმსაზღვრელ შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაზე. ინსტრუმენტი მოითხოვს კომპლექსურ კვლევებსა და მონაცემების ანალიზს. ქართული ენისათვის შექმნილი შეფასების ინსტრუმენტი მოდიფიცირებით ენობრივი სიტუაციის გათვალისწინებით გამოიყენება აფხაზური ენის ფუნქციონირების დონის განსაზღვრისათვისაც (ინდიკატორი 1.1.2); დაწყებულია მუშაობა ამოცანების 1.2. და 1.3. გეგმით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად; თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, როგორც ძირითადი სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც შეიმუშავებს ქართული სალიტერატურო ენის სანორმე პროექტებს, მიმდინარე წელს გეგმავს სახელმწიფო ენის დეპარტამენტში პროექტების წარდგენას (2022 წლის მე-4 კვარტალი); თავის მხრივ, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი მუშაობს ქართული სალიტერატურო ენის ნორმების პრიორიტეტიზაციაზე, რათა ნორმათა დადგენა და გავრცელება შეესაბამებოდეს საზოგადოების მოთხოვნებს. რაც შეეხება ტერმინოლოგიური სტანდარტების მიხედვით ტერმინების დადგენასა და დამტკიცებას, ამ მხრივაც რისკები ნაკლებად იკვეთება, რადგანაც რამდენიმე პასუხისმგებელმა უწყებამ უკვე წარმოადგინა ტერმინთსიის სამუშაო ვერსიები.

მე-4 ამოცანის ორი ინდიკატორი დაკავშირებულია სახელმწიფო ენის გამოცდის ამოქმედებასთან. ამ მიზნით დაგეგმილია 2022 წელს გარკვეული აქტივობები, მათ შორის: საგამოცდო სტანდარტის შექმნა, ქართულ ენაში ერთიანი საგამოცდო წესის შემუშავება, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ. აქტივობათა უმრავლესობაზე პასუხისმგებელი უწყებაა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ხოლო პარტნიორი _ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი. სახელმწიფო ენის გამოცდის სისტემის ამოქმედება გრძელვადიანი სამუშაოა და, შესაბამისად, 2022 წლის ბოლოს აქტივობათა შესრულებამ უნდა მოგვცეს შემდეგი შუალედური მაჩვენებლის (2024) მიღება. გარკვეული რისკი გამოიკვეთა ქართული ენის ფლობის კომპეტენციის განსაზღვრის მხრივ პედაგოგთა შორის არაქართულენოვან სკოლებში, რადგანაც პირველ რიგში უფრო ზოგადი სამუშაოები არის ჩასატარებელი, ხოლო კომპეტენციის კვლევას სჭირდება შესაბამისი ინსტრუმენტი. ამის გამო იგეგმება აქტივობის 1.4.1.6 ამოღება სამოქმედო გეგმიდან.

მე-4 ამოცანის შედეგის ერთ-ერთი ინდიკატორი, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდის საშუალო ქულის გაუმჯობესებას ეხება, გარკვეულ რისკებს შეიცავს, რადგანაც იცვლება გამოცდის ფორმატი და შეფასების სისტემა, რამაც შეიძლება გააძნელოს წინა წლების მონაცემებთან შედარება.

მე-5 ამოცანის შედეგების მისაღწევად, რაც გულისხმობს აფხაზური ენის სწავლების ხელშეწყობას, დაგეგმილი სამი ამოცანიდან, ერთი უკვე განხორციელებულია 100%-ით, ხოლო დანარჩენი ორის განხორციელებაც ივარაუდება დაგეგმილი ვადებით. აფხაზური ენის შემსწავლელთა რაოდენობა 2021 წელს არ შემცირებულა. 2022 წლის ბოლოსათვის სამიზნე მაჩვენებლის გაზრდა მიიღწევა დაგეგმილი ღონისძიებებით.

მე-6 ამოცანის შედეგების მისაღწევად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აქტივობა 1.6.1.8 (სახელმწიფო ენის კვლევების განვითარებისათვის მიზნობრივი პროგრამის შექმნა) მეტწილად განხორციელდა და 2022 წლის 14 აპრილისათვის კონკურსის გამოცხადებაც იგეგმება. პროგრამის ფარგლებში განხორციელებული კვლევები ხალს შეუწყობს ქართველოლოგიური და აფხაზოლოგიური კვლევების ხარისხის გაუმჯობესებას მათი რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებით. გარდა ამისა, ენობრივი ტექნოლოგიების განვითარების სამოქმედო გეგმის შექმნა 2022 წელს მოგვცემს საშუალებას, შევაფასოთ ქართული ენობრივი ტექნოლოგიების დონე სტრატეგიის მე-6 ამოცანის 1.6.2. ინდიკატორის მაჩვენებლის დასადგენად და გასაზრდელად.

მე-7 ამოცანის შედეგების მისაღწევად დაგეგმილი საქართველოს ეთნიკურ უმცირესობათა მშობლიური ენის ცოდნის დონის შენარჩუნება და ზრდა შეესაბამება ენობრივი და სამოქალაქო ინტეგრაციისაკენ მიმართულ აქტივობებს, რომლებიც, ძირითადად, 2022 წელს არის დაგეგმილი.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის პროგრესი ქმნის მოლოდინს, რომ იგი წარმატებით შესრულდება. ხოლო ის აქტივობები, რომელთა განხორციელება რისკის ქვეშაა ადამიანური, დროის თუ ფინანსური რესურსების შეუსაბამობის გამო, შეიცვლება და კორექტირებული სამოქმედო გეგმა განმარტებებითურთ წარედგინება საქართველოს მთავრობას.

გამოწვევები და რეკომენდაციები

სტრატეგიის განხორციელებასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევაა იმ აქტივობათა შესრულება, რომელთაც დამატებითი ფინანსური უზრუნველყოფა სჭირდება ბიუჯეტიდან. უწყებათაშორისმა საბჭომ და სტრატეგიის მაკოორდინებელი ორგანომ – სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა უკვე დაიწყეს მუშაობა ამ მიმართულებით.

სტრატეგიის განხორციელების რისკფაქტორებად მიჩნეულია: პანდემიური სიტუაცია და მასთან დაკავშირებული ფინანსური თუ ადამიანური რესურსის ცვლილებები, რაც შეიძლება აისახოს დაგეგმილ აქტივობათა შესრულების ვადებსა და დონეზე.

რეკომენდებულია სახელმწიფო ენის სტრატეგიის განხორციელებისას პასუხისმგებელ უწყებათა მუდმივი და აქტიური თანამშრომლობა სახელმწიფო ენის დეპარტამენტთან, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს მიხედვით განსაზღვრული ვადებით სტატუს- და პროგრესანგარიშების მომზადება (სახელმწიფო ენის სტრატეგია, გვ. 103). უწყებათა მჭიდრო თანამშრომლობა სტრატეგიის განხორციელების რისკების თავიდან აცილების მთავარი ინსტრუმენტია.